ხელშეკრულება №38
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
დაფინანსების წყარო - ადგილობრივი ბიუჯეტი

გორი **7 მარტი 2019 წელი**

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო (შემდგომში – შემსყიდველი), მისი დირექტორის **გიორგი პურიჭამიაშვილის** სახით (საიდენთიფიკაციო კოდი 418471059) და მეორეს მხრივ, **ი.მ. ეთერ ზაქარაშვილის** (ს/ნ 59001004415) სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-3 მუხლის 1)-პუნქტის ვ) ქვეპუნქტი და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის ვ)-ქვეპუნქტი.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ხელშეკრულების საგანია სააგენტოს მიერ ორგანიზებული 8 მარტის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებისთვის საზეიმო ნამცხვრის შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია:

N	CPV კოდი	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთ.ღირებულება	მთლიანი ღირებულება
1	15812200	საზეიმო ნამცხვარი	ცალი	1	65	65

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 65 (სამოცდახუთი) ლარს, ყველა თანმდევი გადასახადების გათვალისწინებით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა: 2019 წლის 7 მარტი.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია გორი. სტალინის ქ. N11

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, თანხის მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე გადარიცხვით.

7.3 ანგარიშწორება „შემსყიდველის" მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არა უმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან 1 (ერთი) კალენდარულ დღეში.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.03% ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2019 წლის 10 მაისამდე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ორგანიზაციის სპორტული ღონისძიებების დაგეგმვისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი გიორგი ქოთოლაშვილი.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის

სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო

ს/კ 418471059
სახელმწიფო ხაზინა – TRESGE22

მის: გორი. სტალინის გამზ. № 11

მიმწოდებელი:

ი.მ ეთერ ზაქარაშვილი

ს/ნ 59001004415

მის: გორი, ბაგრატიონის ქ. N73

ა.ა GE25TB760276010100014
საბანკო კოდი: TBCBGE22

ს.ს. „თიბისი ბანკი“.

/გ. პურიჭამიაშვილი/

Giorgi Purichamiashvili
Digitally signed by Giorgi Purichamiashvili
Date: 2019.03.07 11:35:42 +04'00'

/ე. ზაქარაშვილი/

Eter Zakarashvili
Digitally signed by Eter Zakarashvili
Date: 2019.03.07 12:45:10 +04'00'

მიღება-ჩაბარების აქტი # 38

(ხელშეკრულების პირობების შესრულების შესახებ)

გორი **7 მარტი 2019 წელი**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო (შემდგომში – შემსყიდველი) მისი ინსპექტირების განმახორციელებელი პირის გიორგი ქოთოლაშვილის (ს/კ 418471059) სახით და მეორეს მხრივ **ი.მ. ეთერ ზაქარაშვილის** (ს/ნ 59001004415) (შემდგომში როგორც - მიმწოდებელი) სახით, ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ 2019 წლის 7 მარტს დადებული ხელშეკრულების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოთხოვნათა შესაბამისად „მიმწოდებელმა“ შეასრულა მასზე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მიწოდებული საქონლის ღირებულება შეადგენს – 65 (სამოცდახუთი) ლარს.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერებით.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
/გ. ქოთოლაშვილი/	/ე. ზაქარაშვილი/
Giorgi Kotolashvili Digitally signed by Giorgi Kotolashvili Date: 2019.03.07 11:37:25 +04'00'	Eter Zakarashvili Digitally signed by Eter Zakarashvili Date: 2019.03.07 12:46:16 +04'00'

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

თარიღი: 7 მარტი 2019 წელი.
მიმწოდებელი: **ი.მ. ეთერ ზაქარაშვილი** (ს/ნ 59001004415)
ხელშეკრულება: N38

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების“ **მე-8 მუხლის ,,ინტერესთან კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები“შესაბამისად** ვადასტურებთ, რომ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს თანამშრომლები ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

დირექტორი:	Giorgi Purichamiashvili Digitally signed by Giorgi Purichamiashvili Date: 2019.03.07 11:36:22 +04'00'	გიორგი პურიჭამიაშვილი
ადმინისტრაციის უფროსი:	Demetre Demetrashvili Digitally signed by Demetre Demetrashvili Date: 2019.03.07 11:40:11 +04'00'	დემეტრე დემეტრაშვილი
ბუღალტერი:	Bela Razmiashvili Digitally signed by Bela Razmiashvili Date: 2019.03.07 11:40:50 +04'00'	ბელა რაზმიაშვილი
იურისტი:	Pavle Tsabadze Digitally signed by Pavle Tsabadze Date: 2019.03.07 11:41:35 +04'00'	პავლე ცაბაძე
ღონისძიებების დაგეგმვ.და მონიტ. განყ. უფროსი:	Giorgi Kotolashvili Digitally signed by Giorgi Kotolashvili Date: 2019.03.07 11:39:10 +04'00'	გიორგი ქოთოლაშვილი